

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

**ხელშეკრულება საქართველოსა და
ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის შესახებ**

პრეამბულა

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო (შემდგომში “მხარეები”),

აცნობიერებენ რა იმ ფაქტს, რომ საქართველოსა და სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს გააჩნიათ სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები;

აგრეთვე აცნობიერებენ რა, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს საქართველოსა და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მთელი საზოგადოებრიობის ერთიან ძალისხმევას;

აღიარებენ, რა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან როლს გლობალური და რეგიონული ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში;

მხედველობაში იღებენ რა, 1995 წლის ოქტომბერში, სოფიაში შემდგარ ევროპის გარემოს დაცვის მინისტრთა და პარალელურად მიმდინარე არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციებზე მიღებულ დეკლარაციებს, რომლებიც მოუწოდებენ ყველა დაინტერესებულ ქვეყანას, მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელი რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების ქსელს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში;

ითვალისწინებენ რა, მიღებულ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ასეთი ცენტრები უნდა შეიქმნას საქართველოში, მოლდავას რესპუბლიკაში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში, და რომ შემოაღნიშნულმა ცენტრებმა უნდა იმუშაონ დემოკრატიულობისა და გამჭვირვალობის პრინციპებზე დაყრდნობით;

მიესალმებიან რა, ამ ხელშეკრულებასთან სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერთებას მხარის სტატუსით;

აცნობიერებენ რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო მხარს უჭერენ საქართველოში “რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის კავკასიისათვის” (რგც კავკასია) დაფუძნებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. საქართველო აფუძნებს რგც კავკასიას, როგორც დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაკომერციულ, არაპოლიტიკურ, საერთაშორისო ხასიათის იურიდიულ პირს.
2. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს კავკასიის რეგიონისა და მეზობელ სახელმწიფოებში გარემოს პრობლემების გადაწყვეტას სამთავრობო სტრუქტურებს, საქმიან წრეებს, სამოგადოებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ყველა სხვა გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებულ მხარეთა შორის ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე თანამშრომლობის გაღრმავების გზით, რათა განავითაროს ინფორმაციისა და გამოცდილების თავისუფალი გაცვლა; გაზარდოს სამოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; შესთავაზოს დახმარება ყველა საქმიან წრეს, სამოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციასა და გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებულ მხარეს, და ამით ხელი შეუწყოს დემოკრატიული სამოქალაქო სამოგადოების შემდგომ განვითარებასა და უსაფრთხო გარემო პირობების უზრუნველყოფას კავკასიის ქვეყნებსა და სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში.

მუხლი 2

ხელშეკრულების განხორციელება

თითოეული მხარე საკუთარი სამთავრობო სტრუქტურიდან გამოყოფს შესაბამის აღმასრულებელ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

მუხლი 3

რგც კავკასიის სტრუქტურა

1. რგც კავკასია რეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც იურიდიული პირი.
2. რგც კავკასიას ჰყავს დირექტორთა საბჭო, აღმასრულებელი დირექტორი და მრჩეველთა საბჭო, ასევე სხვა თანამდებობის პირები და თანამშრომლები აუცილებელი მოვალეობების შესასრულებლად საჭიროებისამებრ.

მუხლი 4

მხარეთა ძირითადი ვალდებულებები

1. ამერიკის შეერთებული შტატები, მსგავსად სხვა მხარეებისა, რომლებიც შეიძლება შეუერთდნენ ამ ხელშეკრულებას მე-13 მუხლის თანახმად, იღებს ვალდებულებას, რომ:
 - ა) პირველადი დახმარება გაუწიოს რგც კავკასიას მხარეთა კანონებისა და საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, დახმარება შეეხება შესაბამისი თანხებისა და რესურსების ხელმისაწვდომობას.

- ბ) დაეხმაროს რგც კავკასიას საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებაში, აუცილებელი ინფორმაციის მოპოვებასა და კავკასიის რეგიონის გარეთ რგც კავკასიის მოღვაწეობის შედეგების გავრცელებაში; და
- გ) საჭიროებისა და აუცილებლობის შემთხვევაში, ხელი შეუწყოს უცხოელი ექსპერტების შერჩევასა და მათ ჩართვას რგც კავკასიის საქმიანობაში.

2. საქართველო ვალდებულია იღებდეს:

- ა) უზრუნველყოს რგც კავკასიის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) შექმნას სათანადო საორგანიზაციო პირობები რგც კავკასიის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, მათ შორის უზრუნველყოს რგც კავკასია საოფისე ფართითა და საკომუნიკაციო არხებით. რგც კავკასიას უფლება აქვს მფლობელობაში იქონიოს რგც კავკასიის შენობა-ნაგებობანი და რგც კავკასიის ყველა სხვა ქონება.
- გ) მიმართოს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოს, რომ თანხები, ქონება და მომსახურება, რომელსაც იღებს რგც კავკასია, გათავისუფლებული იქნება გადასახადებისაგან, საბაჟო და სხვა სახის მოსაკრებლისაგან.
- დ) მიაწოდოს რგც კავკასიას შესაბამისი ინფორმაცია, რაც ხელმისაწვდომია საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებისათვის;
- ე) დაეხმაროს რგც კავკასიას გეგმების განხორციელებაში; და
- ვ) უზრუნველყოს, რომ რგც კავკასიის თანამშრომლებმა, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და ღროებით იმყოფებიან საქართველოში, მიიღონ ნებისმიერი აუცილებელი სამუშაო ნებართვა ან მსგავსი დოკუმენტები და არ გადაიხადონ სოციალური დაზღვევის გადასახადი.

მუხლი 5

რგც კავკასიის მოღვაწეობა

თითოეული მხარე ხელს უწყობს, წაახალისებს, პოპულარიზაციას უწევს და უზრუნველყოფს პირველადი დახმარებით რგც კავკასიას, შეუზღუდავად ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით:

1. კონკრეტული გარემოს პრობლემების გადასაჭრელად მიმართული ინიციატივების მხარდაჭერა;
2. კავკასიის რეგიონსა და სხვა ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში არსებული გარემოს პრობლემების გამოკვლევის ორგანიზება, დაფინანსება და ჩატარება, ძირითადი კვლევის გარდა;
3. გარემოსდაცვითი საკითხებისა და პოლიტიკის განხილვა;
4. საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;
5. განათლების, წვრთნისა და შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და გარემოს პრობლემების გადაჭრის მიზნით;

6. გრანტების გაცემა და სხვა რგც-ებთან ერთად რეგიონული და გრანტსასამზღვრო პროექტებისათვის გრანტების სქემის შემუშავებაში მონაწილეობა;
7. გარემოსდაცვითი, სამეცნიერო და მღვრადი განვითარების საკითხების შესახებ ინფორმაციის გაცემა და გავრცელება; ეროვნული და საერთაშორისო მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; ცნობის ფურცლებისა და სხვა სახის გამოცემების მომზადება;
8. სამთავრობო და არასამთავრობო რეგიონული თანამშრომლობა; და
9. საერთაშორისო გარემოსდაცვითი თანამშრომლობაში კავკასიის მონაწილეობის ეფექტურობის გაზრდისათვის მხარდაჭერა.

მუხლი 6

რგც კავკასიის ფინანსური ზედამხედველობა

1. მხარეს შეუძლია რგც კავკასიას სარგებლობაში თანხების ან სხვა სახის ქონების გადაცემა დაუქვემდებაროს მხარის დაფინანსების სტანდარტულ მოთხოვნებს და თუ რგც კავკასია, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგენს მას ინფორმაციას თანხებისა და ქონების გამოყენების შესახებ, რომელიც დააკმაყოფილებს ამ მხარეს. მხარეთა მიერ გამოყოფილი თანხები არ იქნება გამოყენებული კომერციული საქმიანობისათვის.
2. მხარეთა მიერ გამოყოფილი დაფინანსების გამოყენება არ უნდა გახდეს რგც კავკასიის წესდების გაუქმების შესახებ პუნქტის განხილვის საგანი. რგც კავკასიის გაუქმების ან ამ ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში, მხარეთა მიერ გაცემული დაფინანსება, რომელიც ჯერ არ არის განაწილებული კონკრეტული საქმიანობებისათვის, უნდა დაუბრუნდეს ამ მხარეებს.
3. მხარეებმა უნდა წაახალისონ რგც კავკასია, გამოსცეს ყოველწლიური ანგარიში წინა წლის შემოსავლებისა და დანახარჯების აღწერის ჩათვლით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მხარეთა მიერ რგც კავკასიის უწყვეტი მხარდაჭერა და ამ ხელშეკრულების არა მონაწილე მხარეთა სტიმულირება.

მუხლი 7

რგც კავკასიასა და სხვა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა

1. მხარეებმა უნდა წაახალისონ რგც კავკასია, ითანამშრომლოს სხვა რეგიონულ გარემოსდაცვითი ცენტრებთან, სამეცნიერო და სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ სამოგადოებებთან კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ.
2. მხარეებმა უნდა წაახალისონ რგც კავკასია, ითანამშრომლოს და მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ან ორგანიზაციის მუშაობაში, რომლებიც იქმნება ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

მუხლი 8

ინტელექტუალური საკუთრება და ინფორმაციის გავრცელება

1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს არა აქვთ განზრახული რაიმე ინტელექტუალური საკუთრების შექმნა. “ინტელექტუალურ ქონებას” უნდა ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრულია 1967 წლის 14 ივლისს სტოკჰოლმში მიღებული მსოფლიო ინტელექტუალური ქონების ორგანიზაციის დაფუძნების კონვენციის მე-2 მუხლით.
2. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, რაც კავკასიის მოღვაწეობით ან სპონსორობით მიღებული მეცნიერული და ტექნოლოგიური ინფორმაცია, გარდა კონფიდენციალური კომერციული ინფორმაციისა, ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ჩვეულებრივი არხებით და მხარეთა მოქმედი პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 9

მარეგულირებელი კანონმდებლობა

ამ ხელშეკრულების შესაბამისად მიმდინარე საქმიანობები ხორციელდება თითოეული მხარის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით და ექვემდებარება შესაბამისი თანხებისა და რესურსების ხელმისაწვდომობას.

მუხლი 10

გასვლა და ხელშეკრულების გადაწყვეტა

ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულებაში მონაწილეობა, რისთვისაც მან ექვსი თვით ადრე წერილობით უნდა აცნობოს სხვა მხარეებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. თუ მხარე წარმოადგენს ასეთ შეგყობინებას, მხარეებმა სასწრაფოდ უნდა გამართონ მოლაპარაკებები იმ პროექტების შესახებ, რომელიც წამოწყებული იყო მხარის ხელშეკრულებიდან გასვლამდე და მიიღონ გადაწყვეტილება, გააგრძელონ თუ არა რაც კავკასიის საქმიანობის მხარდაჭერა.

მუხლი 11

უთანხმოების მოგვარება

ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მხარეთა შორის მთლიანად ან ნაწილობრივ ამ ხელშეკრულების თაობაზე, მოგვარდება მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და განხილვების გზით.

მუხლი 12

ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მასში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.
2. წინამდებარე ხელშეკრულების შესწორება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დროს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13

ხელშეკრულებასთან მიერთება

1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მოწვეულია მხარეთა მიერ, რათა გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მხარე, შეუძლია საქართველოს გადასცეს ინსტრუმენტი, რომლითაც აღნიშნული ხელშეკრულება მისაღები გახდება მისთვის მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობების შესაბამისად. ასეთმა ინსტრუმენტმა უნდა დაადასტუროს, რომ შემოერთებულმა მხარემ გადაადგა ყველა საჭირო ნაბიჯი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად ეს ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს შემოერთებული სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ინსტრუმენტის გადაცემის დღიდან.
2. სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციისაგან მიერთების ინსტრუმენტის მიღებისთანავე საქართველომ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ყველა მხარეს.

ქვემოთ ხელმოწერნი ადასტურებენ რა, რომ უფლებამოსილნი არიან თავიანთი მთავრობებს მიერ, ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას.

შესრულებულია 2000 წლის 8 ნოემბერს, ორ ეგზემპლარად, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამასთნ, თითოეული გექსტი თანაბრად აუთენტიკურია.

საქართველოს სახელით

ამერიკის შეერთებული შტატების სახელით